საკანონმდებლო მაცნე

ივნისი 2023
[NO.6] www.bdo.ge

ცვლილება კანონში

შინაარსი

- აქციზის შეღავათიანი განაკვეთი
- საგადასახადო შეღავათები უეფას ღონისძიებებზე
- ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის წესი
- არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება

8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული კლასიკური ავტომობილისთვის აქციზის შეღავათიანი განაკვეთის განსაზღვრა

2023 წლის 23 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილების შედეგად, სსკ-ში გაჩნდა ახალი ტერმინი - კლასიკური ავტომობილი, რომელიც თავის მხრივ, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შედეგად განიმარტა. აღნიშნულის თანახმად, კლასიკური ავტომობილი არის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომლის წლოვანებაც 40 წელს აღემატება. ამ კანონის შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 1 ივლისამდე უნდა უზრუნველყოს.

თავის მხრივ, საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილება შეეხო სსკ-ის 185-ე და 188-ე მუხლებს, რომელიც განსაზღვრავს აქციზით დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხასა და განაკვეთს. 185-ე მუხლის მიხედვით მსუბუქი ავტომობილისათვის აქციზი ითვლება წლოვანებისა და ძრავის მოცულობის მიხედვით, ხოლო გამონაკლისად სპორტული დანიშნულების ავტომობილებთან ერთად განისაზღვრა კლასიკური ავტომობილიც. სსკ-ის 188-ე მუხლის ცვლილების შედეგად საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მსუბუქი გამავლობის კლასიკური ავტომობილისთვის განისაზღვრა აქციზის შეღავათიანი განაკვეთი 1 ლარის ოდენობით ძრავის მოცულობის 1 სმ^3-ზე.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 1 ივლისიდან.

უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე საგადასახადო შეღავათების დაწესება

2023 წლის 29 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

2023 წლის 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით საქართველო მასპინძლობს უეფას (ევროპული ფეხბურთის ასოციაციის კავშირი) ევროპის 21 წლამდე ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს. იმ მიზნით, რომ აღნიშნული ჩემპიონატის ჩატარებისთვის შექმნილიყო დაბეგვრის საშეღავათო პერიოდი, ცვლილებები განხორციელდა სსკ-ის 309-ე გარდამავალი დებულებების მუხლში. კერძოდ, აღნიშნულ მუხლს დაემატა ახალი 135-140-ე ნაწილები, რომელთა მიხედვითაც, ზემოთ ხსენებული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე გავრცელდა შემდეგი სახის საგადასახადო შეღავათები:

- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული შემოსავალი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.
- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა თავისუფლდება ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან.
- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქონლის იმპორტისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები.
- უეფა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საქართველოში გამოყენებულ ქონებაზე თავისუფლდებიან ქონების გადასახადისგან.
- დანიშნული პირის მიერ აღნიშნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში მიღებული შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან. თავის მხრივ, დანიშნული პირი განმარტებულია, როგორც უეფას ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დანიშნული ნებისმიერი არარეზიდენტი პირი, მათ შორის, უცხო ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები გუნდის წევრები და პერსონალი (მაგალითად, მოთამაშე, მწვრთნელი და სხვა), ასევე, უეფას ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელი.
- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩემპიონატის ფინალური ეტაპების მატჩებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში არ წარმოეშობა სსკ-ის 154-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო აგენტის ვალდებულება (მაგალითად, მომსახურების სანაცვლოდ, ხელფასის და სხვა თანხების ანაზღაურების ნაწილში). ამასთანავე, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის მომსახურების გაწევა არ ექვემდებარება დღგ-ით უკუდაბეგვრას.
- ზემოაღნიშნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების ორგანიზება და ჩატარება არ წარმოშობს საქართველოში მუდმივ დაწესებულებას.
- დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება, ერთი მხრივ, პირის მიერ უეფასთვის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ან/და დანიშნული პირისთვის იმ საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს და მეორე მხრივ, ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებზე და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 30 მაისიდან.

ცვლილება ბრძანებაში

ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის წესი

2023 წლის 30 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №181, რომლითაც, შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს ხე-ტყის აღრიცხვის პროექტი, რომლის ფარგლცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

მოგეხსენებათებშიც შემუშავდა ხე-ტყის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვის ელექტრონული მოდული, რომელიც ითვალისწინებს ხე-ტყის აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალის წარმოებას, ასევე, საწყისი ნაშთების შესახებ სპეციალური ფორმის და სასაქონლო შეტყობინების გამოწერას, რომელიც იქნება ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის საფუძველი. აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა ცვლილება №996 ბრძანებაში.
კერძოდ, ცვლილება განხორციელდა ბრძანების 25^2 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის წესს. აღნიშნული მუხლის მე-5 ნაწილს დაემატა ახალი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის ვალდებულება არ ვრცელდება ერთხელ უკვე გამოყენებული (მეორადი) ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირებისას ან/და მიწოდებისას.

ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა აღნიშნული ბრძანების 112-ე გარდამავალი დებულებების მუხლში, რომელსაც დაემატა ახალი 64-ე პუნქტი. ახალი პუნქტის თანახმად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებული ხე-ტყის ნაშთის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2023 წლის 15 ივლისისა.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 15 ივნისიდან.

არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება

2023 წლის 31 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №183, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების 78^1 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებას. ცვლილებამდე, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებდა მატერიალური ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არაალკოჰოლური სასმლის კატეგორიის
განსაზღვრას საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
კერძოდ, აღნიშნული წესი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 10 აგვისტოს №256 ბრძანებაშია გაწერილი, ხოლო ცვლილების შემდეგ, №996 ბრძანების 78^1 მუხლშივე განიმარტა რომელი სახის არააქციზური სასმელი დაექვემდებარება სავალდებულო მარკირებას და ამავდროულად, მიდგომაც შეიცვალა.

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ)“ 2201 და 2202 სასაქონლო პოზიციებში კლასიფიცირებული წარმოებული/იმპორტირებული წყლები (მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები) და სასმელები (არაალკოჰოლური სასმელები), რომლებიც ჩამოსხმულია ნებისმიერი მოცულობის ქურქელში, დაექვემდებარება სავალდებულო მარკირებას. ცვლილებამდე დამხმარე ბრძანების თანახმად სავალდებულო მარკირება ეხებოდა იმავე კატეგორიის სასმელს იმ განსხვავებით, რომ ის ჩამოსხმული უნდა ყოფილიყო 20 ლიტრის ან მასზე ნაკლები მოცულობის ქურქელში.

ამავდროულად, გამონაკლისად იყო განსაზღვრული იმპორტირებული 4 ლიტრამდე არაალკოჰოლური სასმელი, რომელსაც ცვლილების შემდეგაც არ ეხება სავალდებულო მარკირება. სატრანსპორტო საშუალებაზე სტაციონარულად დამაგრებული მრავალჯერადი გამოყენების გადასაზიდ ქურქელში ჩამოსხმულ არაალკოჰოლურ სასმელს კი მარკირების ვალდებულება მოეხსნა.

ცვლილებით ზემოთ ხსენებული პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ არაალკოჰოლურ სასმელებზე, რომელთა საბოლოო მომხმარებლისთვის საცალო მიწოდება ხორციელდება შესაბამისი სასმელების წარმოების პროცესის დასრულებისთანავე, შეფუთვის გარეშე (ჩამოსასხმელი სახით). ასევე, განისაზღვრა, რომ სავალდებულო მარკირებას არ ექვემდებარება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად დაბრუნებული, სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული საქონელი.

ამავე ბრძანების 112-ე გარდამავალი დებულებების მუხლში შესული ცვლილების თანახმად განისაზღვრა, რომ სავალდებულო მარკირება არ ეხება იმ არაალკოჰოლურ სასმელებს, რომლებიც ჩამოსხმულია 20 ლიტრზე მეტი მოცულობის ქურქელში და წარმოებულია/იმპორტირებულია 2023 წლის 1 ივლისამდე, იქიდან გამომდინარე, რომ 2023 წლის 1 ივლისამდე მოქმედებს 256-ე ბრძანება, რომლის მიხედვითაც, როგორც აღვნიშნეთ, სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება სასმელები, რომლებიც ჩამოსხმულია 20 ლიტრის და მასზე ნაკლები მოცულობის ქურქელში.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 1 ივლისიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს საქართველოს საგადასახადო კანონსა და ბრძანებაში.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.